ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3436103

ნომერი: AR1523442

თარიღი : 17.07.2017

გაცემის თარიღი : 28.07.2017

გაცნობის თარიღი : 28.07.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ცოტნე დადიანის 16 / ცოტნე დადიანის 18;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ჭელიძე პ/ნ 01001018604
- თბილისი ქერჩის ქ. N 20 ბ. 32

ორგანიზაცია:
- ვეტაგრო კოდი: 400013347

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- ვინაიდან საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით შენობა არის მშენებარე, საჭიროა წარმადგინოთ მშენებარე ობიექტის მესაკუთრის (დამკვეთის) სათანადოდ დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოზე;

- ასევე, წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან გამომდინარე, ვინაიდან სარეკლამო აბრის განთავსება ხდება ზედა ფართის ფასადზე წარმოსადგენია აღნიშნული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და შესაბამისი მესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.